პარასკევის ქადაგება

სათაურით

მორჩილება რამადანის თვეში

1445/9/12هـ - 2024/3/22م

პატივცემული შეიხ
დოქტორი

აბდულ მუჰსინ ბნუ
მუჰამმად ალ-ყაასიმ

a-alqasim.com

მორჩილება რამადანის თვეში[1]

ქება - დიდება ალლაჰს, ჩვენ მას ვადიდებთ, მას ვთხოვთ შეწევნას და პატიებას, ალლაჰს შევეფარებით ჩვენი სულებისა და საქმეების სიავისგან, ვინც ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე მას არ ჰყავს გზის ამბმევი, ხოლო ვისაც ალლაჰის აუბნევს გზას, მას არ ჰყავს სწორ გზაზე დამდგენი. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და მოციქულია. ალლაჰმა დალოცოს ის, მისი იჯახი და მისი საჰაბები უამრავი დალოცვით.

და შემდეგ:

გეშნოდეთ ალლაჰის - ალლაჰის მონებო - ჭეშმარიტი შიშით, გეშინოდეთ მისი ფარულად და აშკარად.

ჰეი, მუსლიმებო:

ალლაჰმა უპირატესობა მისცა ღამეებსა და დღეებს ერთამნეთზე, გამოარჩია თვეებიდან ერთი თვე, როგორც წელიწადის ნათება და მიანიჭა მას უდიდესი მადლი და დაფასება; ამ თვეში გარდმოივლინა ყურანი; მასში იხსნება სამოთხის კარები, იკეტება ჯოჯოხეთის კარები და ეშმაკები ჯაჭვებით არიან დაბმულნი. ნაპატიები იქნება მასში ცოდვები, თუ მოერიდებით დიდ ცოდვებს. ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა:

„ხუთჯერადი ლოცვა, პარასკევიდან პარასკევამდე(ერთი პარასკევიდან მეორე პარაკევის ლოცვაზე დასწრება), რამადანიდამ რამადანამდე, ნაპატიები იქნება მათ შორის ჩადენილი ცოდვები, თუ არ იქნება ისინი დიდ ცოდვათა შორის“. გადმოსცა მუსლიმმა

თქვა ან-ნავავიმ (ალლაჰმა შეიწყალოს ის): „ამ ჰადისში მოხსენიებული ყველა ქმედება გამოსადეგია ცოდვების

---

[1] ეს ქადაგება წავიკითხე პარასკევის დღეს, რამადანის თვის თორმეტ რიცხვში, 1445 წელს ჰიჯრით, შუამავლის მეჩეთში.

გამოსასყიდად, და თუ ის ნახავს პატარა ცოდვებს შეეცადოს რომ გამოისყიდოს ისინი, ხოლო თუ კი ის ვერ ნახავს ვერც პატარა და ვერც დიდ ცოდვებს - მაშინ, მას დაეწერება მადლი(შესრულებული თაყვანისცემისთვის), ხოლო თუ კი ის ვერ ნახავს პატარა ცოდვებს და ნახავს დიდ ცოდვებს, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ის შეამცირებს მათ(დიდ ცოდვებს) ამით (თაყვანისცემით)."

ვინც იმარხულა დღისით რწმენითა და იმედით, ეპატიება მას მისი წინანდელი ცოდვები; და ვინც გაატარა ღამე თაყვანისცემაში რწმენითა და იმედით, ეპატიება მას მისი წინანდელი ცოდვები (შეთანხმებული). თქვა შაიხულ ისლამმა(ალლაჰმა შეიწყალოს ის): „რწმენით იმისა, რომ ალლაჰმა დააკანონა ეს, დაავალდებულა და უბრძანა ამ თაყვანისცემის შესრულება, და იმედით, რომ ალლაჰი მიიღებს მისგან, ანუ: ის ასრულებდეს მას გულწრფელად ალლაჰის საზღაურის იმედით". მასში არის ღამე, რომელიც უკეთესია ათას ღამეზე.

მარხვა ათავისუფლებს მონას ცოდვებისგან და ცეცხლისგან; თქვა ალლაჰის შუამავალა ﷺ : **„მარხვა არის ფარი".**[2] (შეთანხმებული) რაც შეეხება მის საზღაურს: მასზე პასუხისმგებელი არის ყოვლადგულუხვი უფალი. თქვა შუამავალმა ﷺ : **„თქვა დიდებულმა ალლაჰმა: ადამის ძეთა ყველა საქმე მათთვის არის, გარდა მარხვისა, ხოლო ის ჩემთვისა და მე ვარ მასზე პასუხისმგებელი".** (შეთანხმებული) თქვა ალ-ყურტუბიმ(ალლაჰმა შეიწყალოს ის): „ამ ჰადისის მნიშვნელობა არის: რომ ყველა საქმისთვის გათვლილია მისი საზღაური, რამდენს მიიღებს მონა და ის შეიძლება გაიზარდოს ათიდან სამოცდაათ ათასამდე და იქამდე, რამდენსაც ისურვებს ალლაჰი; ხოლო მარხვისთვის საზღაური განუსაზღვრელია".

სამადლო საქმეები უფრო მეტად დაფასებულია გამორჩეულ დროში, და საუკეთესო მათგანი არის: ალლაჰის ერთადერთობა და

[2] რომელიც იცავს ადამიანს ცოდვებისგან

საქმეების გულწრფელად შესრულება. და ეს ებრძანა ყველა ქმნილებას, თქვა ყოვლადმაღალმა:

﴿وَمَآ أُمِرُوٓاْ إِلَّا لِيَعۡبُدُواْ ٱللَّهَ مُخۡلِصِينَ لَهُ ٱلدِّينَ﴾

„მათ არ ბრძანებიათ არაფერი იმის გარდა, რომ ალლაჰისათვის თაყვანი ეცათ გულწრფელად“. (ალ-ბაინა: 5)

კეთილი საქმეები არ მიიღება ალლაჰთან თუ არ იქნება შესრულებული შუამავლის ﷺ სუნნაზე, მასზე მორჩილებით, რაც არის სამოთხის დამსახურების მიზეზი, თქვა ალლაჰის შუამავალმა ﷺ : „ალლაჰმა დაავალდებულა მონებზე დღეში ხუთჯერადი ლოცვის შესრულება, თუ მონა შეასრულებს მას მუდმივად და არ გამოტოვებს არც ერთ ლოცვას, მას ექნება ალლაჰთან აღთქმა, რომლითაც ის შევა სამოთხეში“. (გადმოსცა მუსლიმმა)

ვინც დაიძინა სავალდებულო ლოცვა, იზარმაცა სუნნების გაკეთებაში ან დამატებითი ლოცვების შესრულებაში დაკარგა ამ თვის მადლი.

წმინდა ყურანი ალლაჰის საჩუქარია ამ უმმეთისთვის, თქვა ყოვლადქებულმა ალლაჰმა:

﴿لَقَدۡ مَنَّ ٱللَّهُ عَلَى ٱلۡمُؤۡمِنِينَ إِذۡ بَعَثَ فِيهِمۡ رَسُولٗا مِّنۡ أَنفُسِهِمۡ يَتۡلُواْ عَلَيۡهِمۡ ءَايَٰتِهِۦ﴾

„ალლაჰმა მიჰმადლა მორწმუნეებს, როცა მოუვლინა მათ შუამავალი მათივე წიაღიდან, რომელიც უკითხავს მათ (ალლაჰის) აიათებს“. (ალ-იმრან: 164)

მისი სახელები და ხარისხები მრავალფეროვანია და ყურანში მოხსენიებულია მისი მრავალი მოწყალება;

﴿ٱلرَّحۡمَٰنُ ۞ عَلَّمَ ٱلۡقُرۡءَانَ﴾

„მოწყალემ * ასწავლა ყურანი“. (არ-რაჰმან: 1-2)

ყურანის კითხვა ადამიანს მატებს რწმენას, მისმა აითებმა

აიძულა დიდებულ ადამიანებს ეტირათ, ალლაჰმა შეაქო ის, ვინც მას კითხულობს და მოქმედებს მისით და დაპირდა მას ამ დაფასების კიდევ უფრო მომატება, თქვა ყოვლადწმინდა ალლაჰმა:

﴿إِنَّ ٱلَّذِينَ يَتۡلُونَ كِتَٰبَ ٱللَّهِ وَأَقَامُواْ ٱلصَّلَوٰةَ وَأَنفَقُواْ مِمَّا رَزَقۡنَٰهُمۡ سِرّٗا وَعَلَانِيَةٗ يَرۡجُونَ تِجَٰرَةٗ لَّن
تَبُورَ * لِيُوَفِّيَهُمۡ أُجُورَهُمۡ وَيَزِيدَهُم مِّن فَضۡلِهِۦٓۚ إِنَّهُۥ غَفُورٞ شَكُورٞ﴾

„ისინი, რომლებიც კითხულობენ ალლაჰის წიგნს, დგებიან ლოცვად და ხარჯავენ იმას, რასაც ჩვენ სარჩოდ ვუწყალობებთ, ფარულად თუ ცხადად, იმედი აქვთ გარიგების, რომელიც ამაო არ იქნება * რათა მან სრულიად მიაგოს თავიანთი საზღაური და მიუმატოს მათ თავისი წყალობისგან. ჭეშმარიტად, იგი შემნდობი, მადლობის შემსმენია“. (ფატირ: 29-30)

საუკეთესო დრო ყურანის კითხვისთვის არის თვე, რომელშიც ის გარდმოევლინა. თქვა იბნ აბბასმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): **„ალლაჰის შუამავალი ﷺ იყო ყველაზე გულუხვი ადამიანთა შორის, ხოლო უფრო მეტად გულუხვი იყოს იმ დროს, როცა მასთან ჯიბრილი ჩამოვიდოდა რამადანის თვის ყოველ ღამეს და ასწავლიდა მას ყურანს“.** (შეთანხმებული)

თქვა იბნ ჰაჯარმა(ალლაჰმა შეიწყალოს ის): „ყველაფერი, რაც მოხსენიებულია: ყურანის გარდმოვლენის დრო, ის ვინ გარდმოავლინა და რაც იქნა მოხსენიებული(წაკითხული ყურანიდან) უფრო მეტ გულუხვობას მატებდა მასში“. ყველაზე ბედნიერი ადამიანი ის არის, ვინც უფრო ახლოსაა ყურანთან, ხოლო ვინც დაკეტა თავისი გული ყურანისთვის ის ვერ იპოვის გზას სხვაგან. თქვა ყოვლადწმინდა ალლაჰმა:

﴿فَبِأَيِّ حَدِيثِۭ بَعۡدَ ٱللَّهِ وَءَايَٰتِهِۦ يُؤۡمِنُونَ﴾

„და ისინი ალლაჰის აიათების შემდგომ რომელ სიტყვას ირწმუნებენ?“ (ალ-ჯასია: 6)

ღამის ლოცვაში გატარება სამოთხის მკვიდრთა თვისებაა. თქვა ალლაჰმა:

﴿كَانُواْ قَلِيلٗا مِّنَ ٱلَّيۡلِ مَا يَهۡجَعُونَ﴾

„ღამით ცოტას თუ წაიძინებდნენ“. (აზ-ზარიათ: 17)

„სავალდებულო ლოცვის შემდეგ საუკეთესო ლოცვა არის - ღამით შესრულებული ლოცვა“. (გადმოსცა მუსლიმმა)

შეასრულე ღამის ლოცვა იმამთან ერთად მეჩეთში, სანამ ეს თვე დასრულდება, რომ მიიღოს ღმერთი დალოცვა. ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა: **„ვინც ილოცებს იმამთან ერთად ბოლომდე, მას დაეწერება მთელი ღამის ლოცვა“.** (გადმოსცა თირმიზიმ)

ვედრება აღწევს ზეცას, სანამ არ მიაღწევს ღმერთთან და ვერავის შეუძლია, რომ შეაჩეროს ის. თქვა ყოვლადწმინდა ალლაჰმა:

﴿وَقَالَ رَبُّكُمُ ٱدۡعُونِيٓ أَسۡتَجِبۡ لَكُمۡۚ﴾

„და თქვა თქვენმა ღმერთმა: შემთხოვეთ მე და მე გიპასუხებთ“. (ღაფირ: 60)

ალლაჰის ორივე ხელი გაშლილია მუდამ და გასცემს დღისით და ღამით, მისი ხაზინები სავსეა. თქვა ალლაჰის შუამავალმა ﷺ : **„ალლაჰის ხელი სავსეა, და არ დაიცლება ის დღე და ღამე გაცემით“.** (შეთანხმებული)

ასე რომ, შესთხოვე ხელგაშლილს ის, რაც გსურს სიკეთიდან ამქვეყნის და აახირეთის - შესთხოვე მას სწორი გზა და მართალი შთამომავლობა, ბედნიერება და სიხარული, ჰალალი სარჩო, სამოთხეში შესვლა, შესთხოვე შენს ღმერთს ყველაფერი, რაც გსურს და აგისრულდება ის, თუ ალლაჰი ინებებს, თქვა ალლაჰმა ყურანში:

﴿وَإِذَا سَأَلَكَ عِبَادِي عَنِّي فَإِنِّي قَرِيبٌۖ أُجِيبُ دَعۡوَةَ ٱلدَّاعِ إِذَا دَعَانِۖ﴾

„და თუ გკითხავენ ჩემი მსახურნი ჩემს შესახებ, ჭეშმარიტად, მე ახლოს ვარ, შევისმენ მლოცველის ვედრებას, როცა შემევედრება“. (ბაყარა: 186)

მოწყალების გაცემა რწმენის მტკიცებულებაა, და საუკეთესო მოწყალება ისა, რომელსაც გასცემენ რამადანის თვეში. ქონების ამ გზით დახარჯვა უფრო სასარგებლოა სულისთვის. თქვა ალლაჰმა:

﴿وَأَنفِقُوا۟ خَيْرًا لِّأَنفُسِكُمْ﴾

“გაიღეთ სიკეთე თქვენი სულისათვის”. (ათ-თაღაბუნ: 16)

ანგელოზები ყოველდღე ლოცულობენ იმისთვის, ვინც გაიღო თავისი ქონებიდან, რომ ალლაჰმა დაუბრუნოს მას უფრო მეტი. თქვა ალლაჰის შუამავალმა ﷺ : **“ყოველ დილას მონასთან მიდის ორი ანგელოზი და ერთი მათგანი ამბობს: ღმერთო დაუბრუნო მას ის, რაც დახარჯა და მეორე ამბობს: ღმერთო გაანადგურე ის, ვინც სიძუნწე გამოიჩინა“.** (შეთანხმებული)

ყველა ადამიანი იქნება თავისი გაცემული მოწყალების ჩრდილში განკითხვის დღეს, და ალლაჰი დაფარავს თავისი ჩრდილით იმას, ვისაც ისურვებს: **„კაცი, რომელიც გასცემს მოწყალებას იმდენად ჩუმად, რომ მისი მარცხენა ხელი ვერ ხედავს, რას გასცემს მარჯვენა ხელი“.** (შეთანხმებული)

სიკვდილის წინ ყველაზე დიდი სინანული იქნება მოწყალების არ გაცემა. თქვა ალლაჰმა:

﴿وَأَنفِقُوا۟ مِن مَّا رَزَقْنَٰكُم مِّن قَبْلِ أَن يَأْتِىَ أَحَدَكُمُ ٱلْمَوْتُ فَيَقُولَ رَبِّ لَوْلَآ أَخَّرْتَنِىٓ إِلَىٰٓ أَجَلٍ قَرِيبٍ فَأَصَّدَّقَ وَأَكُن مِّنَ ٱلصَّٰلِحِينَ﴾

„გაიღეთ (ალლაჰის გზაზე მყოფთათვის) იმისაგან, რასაც ჩვენ სარჩოდ გიწყალობებთ, ვიდრე სიკვდილი მოგეწეოდეთ და იტყვის: ღმერთო ჩემო, რომ გადამივადო ახალ ვადამდე, მოწყალებას გავცემ და ვიქნები მართალთაგანი“. (ალ-მუნააფიყუნ:

10)

რამადანის თვეში უმრას შესრულებას აქვს უდიდესი მადლი; ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა: „ჭეშმარიტად რამადანის თვეში შესრულებული უმრა ჰაჯობის ტოლია“. (გადმოსცა ალ-ბუხარიმ)

საუკეთესო ხალხი თავიანთ საქმეში ისინი არიან, ვინც ბევრს ახსენებენ ალლაჰს, საუკეთესი მმარხულები ისინი არიან, ვინც ბევრს ახსენებენ ალლაჰს, საუკეთესო გამცემნი ისინი არიან, ვინც ბევრს ახსენებენ ალლაჰს და ა.შ.

გულწრფელი მონანიება არის საუკეთესო თაყვანისცემა. თქვა იბნ ალ-ყაიიმმა(ალლაჰმა შეიწყალოს ის): „ხალხთა უმრავლესობამ არ იცის მონანიების ძალა და მისი ჭეშმარიტება“. არ იქნება სრულფასოვანი მონის მიერ შესრულებული თაყვანისცემა და დაახლოება ალლაჰთან მონანიების გარეშე. ალლაჰმა უბრძანა ყველა მუსლიმს მონანიება იმისთვის, რომ იყვნენ ბედნიერები, და თქვა:

﴿وَتُوبُوٓاْ إِلَى ٱللَّهِ جَمِيعًا أَيُّهَ ٱلۡمُؤۡمِنُونَ لَعَلَّكُمۡ تُفۡلِحُونَ﴾

„მოიანიეთ ალლაჰის წინაშე, რათა ეგების ნეტარ იქმნეთ“. (ნურ: 31)

ალლაჰმა უწოდა თავის თავს მიმტევებელი იმისთვის, რომ მონა დაუახლოვდეს მას მონანიებით და მიიღოს ამით სიხარული, და მის ცუდ საქმეებს ჩაანაცვლებს კეთილი საქმეებით. ადამიანის სიცოცხლეში საუკეთესო დღე იქნება ის დღე, როცა ალლაჰი მიიღებს მის მონანიებას. ალლაჰის შუამავალმა ﷺ უთხრა ქა’ბ ბნუ მალიქს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), როდესაც ალლაჰმა მიიღო მისი მონანიება: **„გიხაროდეს საუკეთესო დღის, რაც კი ყოფილა შენი დაბადებიდან შენი დედის მიერ“.** (შეთანხმებული)

პატიების თხოვნა შლის ცოდვებს, და აშორებს სასჯელს, თქვა ალლაჰმა:

﴿وَمَا كَانَ ٱللَّهُ مُعَذِّبَهُمۡ وَهُمۡ يَسۡتَغۡفِرُونَ﴾

„და ალლაჰი არ იქნება მათი დამსჯელი, როცა ისინი შენდობას ითხოვენ“. (ალ-ანფალ: 33)

და მისით(პატიებით) მაღლდებიან საფეხურებით, მოდის უხვი წვიმები, მრავლდება ქონება და შვილები, იზრდება ნაყოფი და მოედინება მდინარეები, და მისით გარმოევლინება ალლაჰის წყალობა:

﴿لَوۡلَا تَسۡتَغۡفِرُونَ ٱللَّهَ لَعَلَّكُمۡ تُرۡحَمُونَ﴾

„ნეტავ პატიება გეთხოვათ ალლაჰისათვის, ეგებ შეწყალებული ყოფილიყავით“. (ან-ნამლ: 46)

და ეს არის გზავნილების სუნნა, თქვა ალლაჰის შუამავალმა ﷺ : **„ჭეშმარიტად მე ალლაჰს ვთხოვ პატიებას დღეში ასჯერ“.** (გადმოსცა მუსლიმმა)

ქალსაც იგივე ვალდებულებები აქვს რამადანის თვეში, როგორც კაცს თაყვანისცემიდან - ყურანის კითხვა, ვედრება, სადაყის გაცემა, მონანიება, ზიქრი, ღამის ლოცვა და ა.შ. გარდა იმისა, რომ ქალისთვის სახლში ლოცვა უკეთესია, ვიდრე მეჩეთში, თქვა შუამავალმა ﷺ :

„და მათი სახლები უკეთესია მათთვის“. (გადმოსცა აჰმადმა)

და შემდეგ, ჰეი მუსლიმებო:

მარხვა არის უდიდესი ღვთისმსახურება ისლამში; თქვა აბუ უმამამ(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): „მოვედი შუამავალთან ﷺ და ვუთხარი მას: მიბრძანე ისეთი რამ, რასაც ავიღებ შენგან. მან თქვა: **იმარხე რადგან მისი მსგავსი არაფერი არ არის“.** (გადმოსცა ნასაიმ)

ამ ღვთისმსახურების სურნელება ალლაჰთან არის მისქზე უკეთესი, თქვა შუმავალმა ﷺ : **„მარხულის პირიდან ამოსული სუნი**

უფრო ძვირფასია ალლაჰისთვის, ვიდრე მისქის სუნამოს სუნი“. (შეთანხმებული)

რამადანის დღეები უახლოვდება დასასრულს და გონიერი ის არის, ვინც გამოიყენებს ამ დღეებს და გააკეთებს მათში ბევრ სიკეთეს, ხოლო წაგებული ის არის, ვინც უყურადღებოდ მოექცევა ამ დღეებს, არ შეასრულებს ალლაჰის ბრძანებებს ან ზურგს აქცევს მის რელიგიას და ფუჭად გაატარებს ამ ძვირფას დროს. საქმეები ფასდება არა მათი დასაწყისით, არამედ მათი დასასრულით.

ალლაჰს მივეკედლები დაწყევლილი ეშმაკისგან

﴿يَٰٓأَيُّهَا ٱلَّذِينَ ءَامَنُواْ ٱرۡكَعُواْ وَٱسۡجُدُواْۤ وَٱعۡبُدُواْ رَبَّكُمۡ وَٱفۡعَلُواْ ٱلۡخَيۡرَ لَعَلَّكُمۡ تُفۡلِحُونَ ۩﴾

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, წელში მოიხარეთ, სეჯდე აღასრულეთ და თაყვანი ეცით თქვენს ღმერთს და სიკეთე აკეთეთ, რათა ეგების, ნეტარ იქმნეთ“. (ალ-ჰაჯჯ: 77)

ალლაჰმა ბარაქა მოგვცეს წმინდა ყურანში მეც და თქვენც...

მეორე ქადაგება

დიდება ალლაჰს მისი სიკეთისთვის, მადლობა მას წარმატებისა და დახმარებისთვის. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი მის დიდებულ საქმეში, და ვამოწმებ, რომ მოციქული მუჰამმადი მისი მონა და შუამავალია, ალლაჰმა დალოცოს ის და მიესალმოს მას, მის ოჯახს და ყველა მის საჰაბას უამრავი მისალმებით.

ჰეი მუსლიმებო:

ალლაჰმა დააკანონა რამადანში მარხვა და ქმნა ის მეოთხე საფუძვლად ისლამის ხუთი საფუძვლიდან იმისთვის, რომ მიაღწიონ ღვთისმოშიშობას, ალლაჰმა ყურანში თქვა:

﴿يَٰٓأَيُّهَا ٱلَّذِينَ ءَامَنُواْ كُتِبَ عَلَيۡكُمُ ٱلصِّيَامُ كَمَا كُتِبَ عَلَى ٱلَّذِينَ مِن قَبۡلِكُمۡ لَعَلَّكُمۡ تَتَّقُونَ﴾

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაწერილია თქვენზე მარხვა, როგორც დაწერილი იყო იმათთვის, ვინც თქვენზე უწინ იყო, რათა ეგების (ალლაჰის) გეშინოდეთ“. (ალ-ბაყარა: 183)

მუსლიმი ვალდებულია, რომ უფრთხილდეს მარხვის გატეხვას და იმას, რაც მას შლის, რომ დაიცვას თავისი ენა, სმენა და მზერა იმისგან, რაც აკრძალა ალლაჰმა. ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: **„ვინც არ გაურბის ბილწსიტყვაობას, მათით ქმედებას და უმეცრობას** - ანუ მოიქცეს უმეცრად და ნაგლად ხალხთან - **ალლაჰს არ სჭირდება მისი საკვების და სასმელისგან თავშეკავება”.** (გადმოსცა ალ-ბუხარიმ)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ აკრძალა მარხვის დროს ბილწსიტყვაობა, კამათი და ჩხუბი და თქვა ﷺ : **“თუ რომელიმე თქვენგანი მარხულობს, დაე, არ იბილწსიტყვაოს და არც იკამათოს(ვინმესთან)”.** (შეთანხმებული) თუ მასთან სხვამ დაიწყო

კამათი ან ჩხუბი არ უპასუხოს მის ბოროტებას, ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: **“თუ ვინმე დაიწყებს რომელიმე თქვენგანთან კამათს, დაე, თქვას: მე ვმარხულობ”.**

თქვა იმამ აჰმადმა(ალლაჰმა შეიწყალოს ის): “მარხულმა უნდა დაიცვას თავისი ენა კამათისგან და არ აუყვეს ვინმეს; როდესაც ისინი ისხდნენ მეჩეთებში და მარხულობდნენ, ამბობდნენ: ჩვენ ვმარხულობთ და არავის ავყვებით კამათში”.

შემდეგ იცოდეთ, რომ ალლაჰმა გიბრძანათ დალოცოთ და მიესალმოთ მის შუამავლს…

خطبة الجمعة

من المسجد النبوي

بعنوان

رمضان

موسم الطاعات

1445/9/12هـ - 2024/3/22 م

لفضيلة الشيخ

د. عبد المحسن بن محمد القاسم

إمام وخطيب المسجد النبوي الشريف

مترجم باللغة الجورجية

a-alqasim.com